ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2023

შინაარსი

რა არის ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია? 3

რას ეფუძნება მეთოდოლოგიური დოკუმენტის შინაარსი? 4

ა) ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი 5

ბ) ეზოს/გარე სივრცის ფართი 6

2. რესურსების უზრუნველყოფა 8

ა) ადამიანური რესურსი - აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის რაოდენობა 8

ბ) საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა 8

გ) საბავშვო ზომის უნიტაზების/ქოთნების რაოდენობა 8

დ) საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა 9

ე) საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა 10

ვ) გასახდელი სივრცე 11

3. დამატებითი ინფორმაცია 11

4. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმები 12

ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმი (მოდელი 1 - მექანიზმი 1) 14

ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმი (მოდელი 2 - მექანიზმი 1) 15

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებისათვის (შემდგომ - დაწესებულება) დამხმარე მეთოდოლოგიას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის. დოკუმენტი არის სარეკომენდაციო ხასიათის და შემუშავებულია დაწესებულებების მხარდასაჭერად, რათა მათ შეძლონ ავტორიზაციის მეორე სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

აღნიშნულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობითა და საკუთარი სპეციფიკის გათვალისწინებით დაწესებულებას შეუძლია ჩამოაყალიბოს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და აირჩიოს ინსტრუმენტი, რომლის გამოყენებითაც დათვლის ბავშვების რაოდენობას.

რა არის ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია?

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს (შემდგომ - დროებითი წესი) მიხედვით, დაწესებულება უფლებამოსილია ბავშვების მიღება განახორციელოს მხოლოდ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - ავტორიზაციის საბჭო) მიერ განსაზღვრული ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ შეიმუშაოს ისეთი მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც შემდგომში საშუალებას მისცემს რესურსების გათვალისწინებით ოპტიმალურად და სწორად განსაზღვროს ბავშვთა ზღვრული რაოდენობა.

მეთოდოლოგიური დოკუმენტი ასევე წარმოადგენს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის (შემდგომ - ავტორიზაციის განაცხადი) დანართის სახით წარმოსადგენ სავალდებულო დოკუმენტს. ავტორიზაციის განაცხადის წარმოდგენამდე დაწესებულებამ მეთოდოლოგიურ დოკუმენტზე დაყრდნობითა და არსებული რესურსების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს ბავშვების ის მაქსიმალური რაოდენობა, რომლის მიღების შესაძლებლობაც აქვს მას ჯამურად. ამასთან, თუ დაწესებულება პროგრამას ახორციელებს სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა მიდგომით (მულტილინგვური/ბილინგვური) ან სხვადასხვა მისამართზე, აღნიშნული პროგრამებისათვის ცალ-ცალკე უნდა განსაზღვროს ბავშვების მოთხოვნილი ადგილების ზღვრული რაოდენობა.

შესაძლებელია დაწესებულებაში რომელიმე რესურსი/მატერიალური ბაზა სხვადასხვა პროგრამის მიზნებისათვის იქნას გამოყენებული, ამ შემთხვევაში ავტორიზაციის განაცხადში, მოთხოვნილი ბავშვების რაოდენობის დასაბუთების ნაწილში, დაწესებულებამ უნდა აღწეროს აღნიშნული რესურსის გამოყენების შესაძლებლობები ყველა პროგრამის მიზნებისათვის რომლისთვისაც ის გამოიყენება.

DRAFT

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების ბიუჯეტი უზრუნველყოფდეს დამტკიცებული კურიკულუმით გათვალისწინებული საჭიროებების შესასრულებლად საკმარისი ფინანსური რესურსის უწყვეტ ხელმისაწვდომობას. სწორედ ამიტომ დაწესებულებამ სწორად უნდა შეაფასოს საკუთარი ფინანსური და მატერიალური შესაძლებლობები და არსებული ბიუჯეტის გათვალისწინებით განსაზღვროს რამდენი ბავშვისათვის შეძლებს საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფას კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსით.

მეთოდოლოგიური დოკუმენტი მტკიცდება დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

რას ეფუძნება მეთოდოლოგიური დოკუმენტის შინაარსი?

ავტორიზაციის მეორე სტანდარტის 2.2. კომპონენტის ინდიკატორით დადგენილი მოთხოვნის მიხედვით დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, მეთოდოლოგიურ დოკუმენტზე მუშაობისას გასათვალისწინებელია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა (შემდგომ - კანონი) და დროებითი წესით განსაზღვრული მოთხოვნები, რომლებიც შეგვიძლია დავყოთ ორ ძირითად მიმართულებად, ესენია:

1. ინფრასტრუქტურული მოწყობა - მოიცავს შენობის ინფრასტრუქტურას და ეზოს/გარე სივრცეს;
2. რესურსების უზრუნველყოფა - მოიცავს ადამიანურ რესურსსა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

მეთოდოლოგიური დოკუმენტი უნდა მოიცავდეს თითოეული მიმართულების შესახებ ინფორმაციას. ქვემოთ დეტალურად არის განხილული ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავებისას თითოეული მიმართულების მოთხოვნების გათვალისწინების გზები და მაგალითები.

DRAFT

1. ინფრასტრუქტურული მოწყობა

ა) ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი

დაწესებულებამ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს რა პრინციპით ახორციელებს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესს - ჯგუფური მოწყობით თუ საერთო სივრცითი მოწყობით.

თუ დაწესებულებაში სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი ხორციელდება **ჯგუფური მოწყობის პრინციპით,** ამ შემთხვევაში თითოეულ ჯგუფს უნდა ჰქონდეს გამოყოფილი ინდივიდუალური ჯგუფური ოთახი. შესაბამისად, ბავშვთა ადგილების განსაზღვრისათვის დაწესებულებამ უნდა დაითვალოს რამდენი დამოუკიდებელი ჯგუფური ოთახი აქვს.

მაგ.: თუ დაწესებულების შენობაში არის 8 ჯგუფური ოთახი, ე. ი. დაწესებულებას აქვს 8 ჯგუფის მიღების შესაძლებლობა, ბავშვთა ზღვრული რაოდენობა კი თითოეულ ჯგუფში განსაზღვრული ბავშვების რაოდენობის ჯამი იქნება (კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით).

ჯგუფური მოწყობის პრინციპის შერჩევისას გასათვალისწინებელია კანონით დადგენილი ასაკობრივი ჯგუფური კატეგორიები და თითოეული კატეგორიისთვის განსაზღვრული ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში. კერძოდ, დაწესებულება ვალდებულია ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი ჯგუფები შემდეგი ასაკობრივი კატეგორიის ბავშვებისგან:

ა) 2-დან 3 წლამდე – სკოლამდელი განათლების პირველი წელი - არაუმეტეს 25 ბავშვი;
ბ) 3-დან 4 წლამდე – სკოლამდელი განათლების მე-2 წელი - არაუმეტეს 30 ბავშვი;
გ) 4-დან 5 წლამდე – სკოლამდელი განათლების მე-3 წელი - არაუმეტეს 30 ბავშვი;
დ) 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე - სკოლამდელი განათლების მე-4 წელი, ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა - არაუმეტეს 30 ბავშვი;
ე) ერთი ასაკის ბავშვთა არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში დაწესებულება უფლებამოსილია მომიჯნავე ასაკის ბავშვებისგან ჩამოაყალიბოს მრავალასაკობრივი ჯგუფი არაუმეტეს 15 ბავშვის შემადგენლობით.

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების შემთხვევაში (0-2 წლამდე) დაწესებულებამ თავად უნდა გასაზღვროს ამ ასაკობრივი კატეგორიის ბავშვებისთვის ჯგუფების ჩამოყალიბების პრინციპი. ეს შესაძლოა იყოს გაერთიანებული ჯგუფი 0-დან 2 წლამდე ყველა ბავშვისთვის ან დამოუკიდებელი ჯგუფები - 0-დან 1 წლამდე და 1-დან 2 წლამდე ბავშვებისთვის. ასევე, უნდა განისაზღვროს ამ ასაკობრივი კატეგორიის ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც არ იქნება სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფისთვის (2-დან 3 წლამდე) კანონით განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი (არაუმეტეს 25).

იმ შემთხვევაში თუ კურიკულუმის განხორციელების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სწავლების განსხვავებულ მიდგომას და სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი წარიმართება **ერთ სივრცეში,** მაშინ საერთო სივრცეში თითოეულ ბავშვზე გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ 2 კვ. მ. ამგვარი გადაწყვეტისას დაწესებულებამ პირველ ეტაპზე უნდა დაითვალოს სააღმზრდელო-სასწავლო პროცესისთვის გამოყოფილი ფართის სრული მოცულობა სართულების მიხედვით.

DRAFT

მაგ.: პირველ სართულზე სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ფართი შეადგენს 100 კვ. მ-ს, მეორე სართულზე 150 კვ. მ-ს, ხოლო მესამე სართულზე 50 კვ. მ-ს, ჯამში - 300 კვ. მ. გამოსაყენებელი ფართის მიხედვით დაწესებულება განსაზღვრავს მაქსიმუმ რამდენი ბავშვის მიღების შესაძლებლობა ექნება ისე, რომ თითოეულ ბავშვზე გათვლილი იყოს 2 კვ. მ. (განხილულ შემთხვევაში გამოდის 150 ბავშვი).

ორივე შემთხვევაში (ჯგუფური და საერთო სივრცითი მოწყობა) დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ჯგუფური ოთახებისა და საერთო ფართის განთავსების **სართული.** დროებით წესში დამატებითი მოთხოვნებია განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფების სართულებზე განთავსებასთან მიმართებაში, კერძოდ:

- ❖ ადრეული ასაკის ბავშვების (0-2 წლამდე) ჯგუფური ოთახები/საერთო სივრცე პირველ სართულზე უნდა იქნას განთავსებული;
- ❖ 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვების ჯგუფები შესაძლებელია განთავსდეს პირველ ან/და მეორე სართულებზე;
- ❖ მესამე სართულზე დასაშვებია მხოლოდ სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსება (5 წლიდან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე) შემდეგი პირობის დაცვით - მესამე სართულზე განთავსებული უნდა იყოს სანიტარიული კვანძი ბავშვებისთვის, მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში უნდა ჰქონდეს დამცავი ბარიერი და დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

როგორც ვხედავთ, სართულებზე ჯგუფური ოთახების/საერთო სივრცის განთავსება დამოკიდებულია ბავშვების ასაკზე, ამიტომ ბავშვთა ზღვრული რაოდენობის ოპტიმალურად განსაზღვრისათვის დაწესებულებამ ამ ფაქტორს აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება.

ბ) ეზოს/გარე სივრცის ფართი

შემდეგი საკითხი, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის, არის ეზოს/გარე სივრცის საერთო ფართი. დაწესებულებამ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში უნდა აღწეროს როგორ იყენებს არსებულ ეზოს/გარე სივრცის საერთო ფართს იმის გათვალისწინებით, რომ ეზოს/გარე სივრცის მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში შეადგენდეს არანაკლებ 3 კვ. მ-ს.

გარე სივრცედ შესაძლებელია დაწესებულებამ გამოიყენოს ეზო (შენობის ირგვლივ დაწესებულების საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ტერიტორია) ან ვერანდა/შენობის სახურავი (მოწყობილი მესამე სართულის იატაკის დონეზე). თუ დაწესებულებას საკუთრებაში აქვს მიწის ფართი, რომელიც მდებარეობს შენობიდან მოშორებით - არა მომიჯნავედ, აღნიშნული ფართი ვერ ჩაითვლება ბავშვების სარგებლობისთვის გამოსაყენებელ ეზოდ.

იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისთვის, დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში გამოყოფილი უნდა იყოს იზოლირებული სივრცე ბავშვებისთვის. დაწესებულება ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს გამოყოფილი იზოლირებული ფართის მიხედვით.

თუ დაწესებულება მდებარეობს სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო ზონის ტერიტორიაზე/მომიჯნავედ, დაწესებულებას შესაძლებლობა აქვს ეს ტერიტორია გამოიყენოს ეზოდ/გარე სივრცედ. სარეკრეაციო ზონის მესამე პირის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში კი ტერიტორიის გამოყენებისათვის დაწესებულებას გაფორმებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი სარეკრეაციო ზონის მფლობელთან.

დასაშვებია ეზოს/გარე სივრცის ფუნქციით ერთდროულად გამოყენებული იქნეს ეზო, ვერანდა/შენობის სახურავი ან/და მომიჯნავე სარეკრეაციო ზონა. ასეთ შემთხვევაში ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას შესაძლებელია ამ ფართების დაჯამება და მათი კომბინირებული გამოყენება.

მაგ.: თუ ვერანდა არის 50 კვ. მ, ეზო კი 150 კვ. მ., ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის დაწესებულება გარე სივრცის ფართისათვის გაითვალისწინებს 200 კვ. მ-ს.

დაწესებულებას შესაძლებლობა აქვს ეზოს/გარე სივრცის ტერიტორიაზე ბავშვები გაიყვანოს ჯგუფურად, ცვლების მიხედვით. ეზოში/გარე სივრცეში ბავშვების ყოფნისათვის განსაზღვრული დროის ხანგრძლივობა და გასვლის ჯერადობა დამოკიდებულია კურიკულუმით გათვალისწინებულ ეზოში/გარე სივრცეში დაგეგმილი აქტივობის შინაარსზე.

მაგ.: თუ დაწესებულების ეზოს/გარე სივრცის ტერიტორია არის 150 კვ. მ., მაშინ ის ერთ ცვლაში შეძლებს ერთდროულად 50 ბავშვის გაყვანას, სამ ცვლაში მონაცვლეობით კი 150 ბავშვის გაყვანას (50-50-50). ცვლები უზრუნველყოფს, რომ ეზოს/გარე სივრცის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი იყოს არანაკლებ 3 კვ. მ. თითოეული ბავშვისთვის.

ეზოში/გარე სივრცეში ბავშვების გაყვანისათვის ცვლების/ნაკადების შემთხვევაში აუცილებელია, რომ ეს აქტივობა ასახული იყოს დღის განრიგშიც. დღის განრიგში ასახული ეზოში/გარე სივრცეში გაყვანის დრო არ უნდა ემთხვეოდეს ისეთ რუტინულ აქტივობებს როგორიც არის კვება, ძილი, მიღება და სხვა კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები. ასევე, ეზოში/გარე სივრცეში დაყოვნების დრო უნდა იყოს გონივრული და განისაზღვრებოდეს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობის შესაბამისად. 50 ბავშვის ეზოში გაყვანა 15 წუთით არ იქნება საკმარისი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობისთვის, მაშინ როდესაც ტრანზიციის აქტივობებისთვის - ჩაცმა, მომზადება, ჯგუფიდან ეზომდე მისვლის დრო და უკან დაბრუნება - საჭიროებს გაცილებით მეტ დროსა და ენერგიას. ეზოში/გარე სივრცეში გასატარებელი პერიოდის სიმცირე გამოიწვევს ტრანზიციების ხელოვნურ ზრდას, რაც უარყოფითად აისახება ბავშვების ემოციურ მდგომარეობაზე და კურიკულუმის განხორციელების ეფექტიანობაზე. რეკომენდებულია, რომ 9 საათიანი დღის განრიგის შემთხვევაში დაწესებულებაში ეზოში/გარე სივრცეში ბავშვების გაყვანისათვის ცვლების/ნაკადების რაოდენობა არ აღემატებოდეს ექვსს.

მაგ.: თუ დაწესებულებას აქვს 150 კვ. მ. ეზო/გარე სივრცე და ის განსაზღვრული აქვს 300 ბავშვისთვის, მაშინ მას მოუწევს მათი 6 ნაკადად გაყვანა. 150 კვ. მ. ფართი იტევს ერთდროულად 50 ბავშვს (150/3=50), ხოლო 300 ბავშვის 50 ბავშვიან ჯგუფებად გაყვანის შემთხვევაში გამოდის 6 ნაკადი (300/50=6); აღნიშნულის გათვალისწინებით, თითოეული ჯგუფის დღის განრიგში შესაბამისად უნდა იყოს ასახული ეზოს აქტივობები და არ უნდა ხდებოდეს ნაკადების გადაკვეთა (თითოეულ 50 ბავშვიანი ჯგუფის ეზოში/გარე სივრცეში ყოფნის დროს უზრუნველყოფილი იყოს ბავშვზე 3 კვ. მ ფართი).

2. რესურსების უზრუნველყოფა

ა) ადამიანური რესურსი - აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის რაოდენობა

ბავშვთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის ადამიანური რესურსის გათვალისწინება მეთოდოლოგიური დოკუმენტის მორიგი მნიშვნელოვანი ნაწილია. სააღმზრდელო - სასწავლო პროცესის წარმართვის დროს დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს თითოეულ ჯგუფში „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების თანაფარდობა (მუხლი 22), კერძოდ:

- 3 - დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ყოველ 15 ბავშვზე განსაზღვრულია 1 აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი;
- 2 - დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ყოველ 13 ბავშვზე განსაზღვრულია 1 აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი;

0 - 2 წლამდე ასაკის ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების შემთხვევაში დაწესებულებამ თავად უნდა გასაზღვროს ამ ასაკის ჯგუფებში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც არ იქნება სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფისთვის (2-დან 3 წლამდე) კანონით განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი (არაუმეტეს 25).

ბ) საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა

მეთოდოლოგიურ დოკუმენტში ასევე სავალდებულოდ გასათვალისწინებელი კომპონენტია საბავშვო ზომის ხელსაბანები. დაწესებულებაში დაცული უნდა იყოს აღნიშნული ინვენტარისა და ბავშვების რაოდენობის თანაფარდობა, კერძოდ არანაკლებ 1 საბავშვო ზომის ხელსაბანი ყოველ 20 ბავშვზე გაანგარიშებით.

დაწესებულებამ ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს შესაძლებელია იხელმძღვანელოს არსებული რესურსის გაანგარიშებით.

მაგ:. თუ დაწესებულებას შენობაში აქვს 15 საბავშვო ზომის ხელსაბანი, მას შეუძლია მომსახურება გაუწიოს მაქსიმუმ 300 (15*20=300) ბავშვს.

გ) საბავშვო ზომის უნიტაზების/ქოთნების რაოდენობა

ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია დაწესებულებაში საბავშვო ზომის უნიტაზების რაოდენობა. აღნიშნული ინვენტარის დასაშვები ალტერნატივებია ღამის ქოთნები და ბიჭების შემთხვევაში - საბავშვო ზომის პისუარები. თითოეულის უზრუნველყოფის შემთხვევაში დაწესებულებაში დაცული უნდა იყოს აღნიშნული ინვენტარისა და ბავშვების რაოდენობის თანაფარდობა შემდეგნაირად:

DRAFT

- არანაკლებ 1 საბავშვო ზომის უნიტაზი ყოველ 15 ბავშვზე;
- არანაკლებ 1 საბავშვო ზომის პისუარი ყოველ 20 ბიჭზე (არსებობის შემთხვევაში);
- არანაკლებ 1 ღამის ქოთანი ყოველ 10 ბავშვზე (არსებობის შემთხვევაში).

მაგ:. თუ დაწესებულებამ განსაზღვრა, რომ მას შეუძლია 300 ბავშვისთვის მომსახურების მიწოდება, შესაბამისად საჭირო იქნება 20 საბავშვო ზომის უნიტაზის არსებობა საბავშვო ბაღში. თუ დაწესებულებას მხოლოდ 15 უნიტაზი აქვს და დამატებით მოწყობის ინფრასტრუქტურული შესაძლებლობებიც არ გააჩნია, ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია უნიტაზების დარჩენილი რაოდენობა უზრუნველყოს ღამის ქოთნებით. ამ შემთხვევაში ამგვარი მოცემულობა გვექნება: 15 უნიტაზი საკმარისია 225 (15*15=225) ბავშვისთვის, ხოლო დარჩენილი 75 (300-225=75) ბავშვისთვის გამოიყენებს 8 (75/10=8) ღამის ქოთანს.

ასევე დასაშვებია, რომ დაწესებულებას ჰქონდეს საბავშვო ზომის პისუარები. მათი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ ბიჭების სარგებლობისთვის. ამ შემთხვევაში დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს ბიჭებისა და გოგონების პროპორცია ჩარიცხულ/ჩასარიცხ ბავშვებს შორის და ამის მიხედვით დაასაბუთოს უნიტაზების/ღამის ქოთნების/პისუარების პროპორცია ბავშვებთან და სქესთან მიმართებაში.

დ) საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა

მეთოდოლოგიური დოკუმენტის მორიგი შემადგენელი ნაწილია საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა. დაწესებულებას ჯგუფურ ოთახებში/საერთო სივრცეში უნდა ჰქონდეს ბავშვთა რაოდენობის შესაბამისი სკამი. საბავშვო მაგიდების შემთხვევაში კი შესაძლებელია მაგიდა იყოს 4 ადგილიანი, 6 ადგილიანი ან სხვა, შესაბამისად, მაგიდებთან ადგილების რაოდენობა უნდა იყოს ბავშვების რაოდენობის ტოლი. ბავშვისთვის განკუთვნილი სკამებისა და მაგიდების სიმაღლის ზომები უნდა შეესაბამებოდეს დროებითი წესით დადგენილ მოთხოვნებს.

მაგ:. 100 ბავშვისთვის სავალდებულოა 100 ცალი ბავშვთა ასაკისათვის შესაბამისი სკამისა და 4 ადგილიანი მაგიდების შემთხვევაში 25 მაგიდის ფლობა (100:4=25).

ჯგუფური მოწყობის პრინციპის შემთხვევაში გონივრულია, რომ დაწესებულებამ თითოეულ ჯგუფში არსებული ბავშვების რაოდენობის მიხედვით განსაზღვროს მაგიდის/მაგიდასთან ადგილის რაოდენობა და არა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის ჯამის მიხედვით.

მაგ.: თუ ერთ ჯგუფში არის 25 ბავშვი და 5 ცალი 6 ადგილიანი მაგიდა (5x6=30), ამ შემთხვევაში ამ ჯგუფურ ოთახში იქნება 30 ადგილი მაგიდასთან - 25 ადგილი ბავშვებისათვის და თავისუფალი 5 ადგილი. თუ მეორე ჯგუფში არის 32 ბავშვი და კვლავ 5 ცალი 6 ადგილიანი მაგიდა, ამ შემთხვევაში მხოლოდ 30 ბავშვისთვის იქნება ადგილი მაგიდასთან და 2 ბავშვისთვის არა. ასეთ შემთხვევაში დაწესებულებაში ბავშვებისა და მაგიდებთან ადგილების თანაფარდობა დაცული იქნება ჯამურად, თუმცა თითოეულ ჯგუფებში არა. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეული ბავშვისთვის ხელმისაწვდომი იყოს ჯგუფურ ოთახში როგორც სკამი, ასევე ადგილი მაგიდასთან.

DRAFT

ე) საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა

დაწესებულებაში არსებული სავალდებულო სივრცეებიდან მორიგი გახლავთ საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე, შესაბამისად მეთოდოლოგიური დოკუმენტი უნდა ითვალისწინებდეს ბავშვებისთვის საძინებლის/მოსასვენებელი სივრცის მოწყობისა და შესაბამისი რაოდენობის საწოლებით უზრუნველყოფის საკითხს. აღნიშნული სივრცის მოწყობისთვის მოთხოვნები შეგვიძლია დავაჯგუფოთ ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით.

ადრეული ასაკის (0-დან 2 წლამდე) ჯგუფების განთავსება დასაშვებია მხოლოდ შენობის პირველ სართულზე, ხოლო სკოლამდელი ასაკის პირველი წლის (2-დან 3 წლამდე) ასაკობრივი ჯგუფების განთავსება შესაძლებელია შენობის როგორც პირველ ისე მეორე სართულებზე. სავალდებულოა ამ ასაკის (0-დან 3 წლამდე) ბავშვების ჯგუფებისთვის იმავე სართულზე იყოს გამოყოფილი საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე.

3 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ბავშვებისთვის ძილის რეჟიმი არ არის სავალდებულო, თუმცა ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია ჰქონდეს მოსასვენებელი სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება იმ ბავშვებისთვის ვისაც ესაჭიროებათ მოსვენება, დაკმაყოფილებული იყოს ეს მოთხოვნილება.

რაც შეეხება საძინებელ ოთახში/მოსასვენებელ სივრცეში საწოლების რაოდენობას, სავალდებულოა რომ 0-დან 3 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში თითოეულ ბავშვისათვის გათვალისწინებული იყოს ინდივიდუალური საწოლი, შესაბამისად დაწესებულებას უნდა ჰქონდეს 0-3 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობის შესაბამისი საწოლი.

საწოლების ზომა და სპეციფიკა უნდა შეესაბამებოდეს დროებით წესში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მაგ.: თუ დაწესებულებას 0-დან 2 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის ბავშვებისათვის სურს ერთი ჯგუფის გახსნა 20 ბავშვით და ჯგუფური ოთახი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე, მაშინ დაწესებულება ვალდებულია შენობის ამავე სართულზე მოაწყოს საძინებელი ოთახი/მოსასვენებლი სივრცე, რომელიც აღჭურვილი იქნება 20 შესაბამისი მახასიათებლის მქონე საწოლით. თუ დაწესებულებას სურს 2-დან 3 წლამდე ასაკობრივი კატეგორიაში 3 ჯგუფის გახსნა, თითოეულში გათვალიწინებულია 25 ბავშვი და სამივე ჯგუფისთვის ჯგუფური ოთახი განთავსებულია შენობის მეორე სართულზე, მაშინ დაწესებულება ვალდებულია მეორე სართულზე უზრუნველყოს ბავშვებისათვის საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე. შესაძლებელია თითოეული ჯგუფისთვის გამოყოფილი იყოს ინდივიდუალური საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე 25 საწოლით ან ერთი საერთო საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე, სადაც განთავსდება 75 ინდივიდუალური საწოლი თითოეული ბავშვისთვის.

დაუშვებელია საწოლების არ არსებობა გამოყენებული იქნეს ბავშვისთვის ძილის რეჟიმის დარღვევის არგუმენტად ან საბავშვო ბაღის მიერ მათთვის მომსახურების გაწევაზე უარის თქმის საფუძვლად. დაწესებულება ვალდებულია, მთელი წლის განმავლობაში მზად იყოს ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

DRAFT

ვ) გასახდელი სივრცე

გასახდელი სივრცე მიეკუთვნება დაწესებულების სავალდებულო სივრცეების ჩამონათვალს. გასახდელ ზონაში პირადი ნივთების შესანახად დაწესებულებას გამოყოფილი უნდა ჰქონდეს სივრცე თითოეული ბავშვისთვის. დაწესებულება თავისუფალია თითოეული ჯგუფისათვის მოაწყოს ინდივიდუალური გასახდელი სივრცე ან ეს სივრცე სხვადასხვა ჯგუფებისათვის იყოს საერთო. გასახდელი სივრცე შესაძლებელია განთავსებული იყოს დერეფანში, ოთახში ან ბავშვებისათვის მოსახერხებელ სხვა ადგილას.

მაგ:. თუ დაწესებულება მომსახურებას უწევს 100 ბავშვის, მაშინ ის ვალდებულია გასახდელ სივრცეში მოაწყოს არანაკლებ 100 საკიდი ბავშვებისათვის.

3. დამატებითი ინფორმაცია

ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის, მოთხოვნები და პარამეტრები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ

საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;

https://matsne.gov.ge/document/view/3310237?publication=13

საქართველოს მთავრობის N76 დადგენილება „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ .

https://matsne.gov.ge/ka/document/view/5727272?publication=0

<u>წინამდებარე მეთოდოლოგიურ დოკუმენტს აქვს სარეკომენდაციო კონსულტირების ხასიათი!</u>

DRAFT

4. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმები

როგორც ვხედავთ, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა საკმაოდ კომპლექსური პროცესია და დაწესებულებამ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში ყველა მიმართულება უნდა გაითვალისწინოს. აღნიშნულ პროცესში დაწესებულებების მხარდასაჭერად ქვემოთ შემოთავაზებულია ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმის ორი მოდელი. თითოეული მოდელი მოიცავს ორი ტიპის მექანიზმს. ერთი მათგანი განკუთვნილია იმ დაწესებულებებისთვის, რომლებიც სააღმზრდელო-სასწავლო პროცესს ახორციელებენ ჯგუფური მოწყობის პრინციპით, ხოლო მეორე - იმ დაწესებულებებისთვის ვინც პროცესს ახორციელებს კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცის მოწყობის პრინციპით. შემოთავაზებული მექანიზმები დაეხმარება დაწესებულებას საკუთარი რესურსების გათვალისწინებით განსაზღვროს ბავშვთა ზღვრული რაოდენობა.

ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმის პირველი მოდელი ეფუძნება დაწესებულების ინფრასტრუქტურულ მოწყობას და განკუთვნილია იმ დაწესებულებებისთვის, რომლებსაც სურთ განსაზღვრონ რა რაოდენობის რესურსი იქნება საჭირო მათ საკუთრებაში არსებული შენობის ფართის, ეზოს და ბავშვთა შერჩეული რაოდენობის გათვალისწინებით.

ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის დაწესებულება ცხრილში ავსებს მხოლოდ 4 ტიპის მონაცემს:

1) თითოეულ სართულზე ჯგუფური ოთახის რაოდენობა;
2) თითოეულ სართულზე ჯგუფის რაოდენობა;
3) ეზო/გარე სივრცის ფართი ჯამურად (კვ. მ.);
4) თითოეულ ჯგუფში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობა.

აღნიშნული მონაცემების შევსების შემდეგ შესაბამის გრაფებში აისახება ბავშვთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა და სავალდებულოდ უზრუნველსაყოფი რესურსის ის მინიმალური საჭირო რაოდენობა, რომელიც უნდა მობილიზდეს დაწესებულებაში ბავშვთა მითითებული რაოდენობისთვის მომსახურების მისაწოდებლად, ეს რესურსებია:

1) აღმზრდელების/აღმზრდელ-პედაგოგების რაოდენობა;
2) ხელსაბანების რაოდენობა;
3) უნიტაზების რაოდენობა;
4) მაგიდებთან ადგილების რაოდენობა;
5) სკამების რაოდენობა;
6) საწოლების რაოდენობა;
7) გასახდელ სივრცეში საკიდების რაოდენობა;
8) ეზოს/გარე სივრცის გამოყენების შესაძლებლობა;
9) ნაკადების რეკომენდებული რაოდენობა.

ამ მექანიზმის პრიორიტეტი იმაში მდგომარეობს, რომ პირველადი მონაცემების შეტანის შემდეგ, ცხრილი მატერიალური ბაზის მოწყობის დანარჩენ სავალდებულო კომპონენტებს კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად ავტომატურ რეჟიმში ანგარიშობს. ასევე, გათვალისწინებულია თითოეულ გრაფაში არასწორად შეყვანილი მონაცემის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაციული შეტყობინების გამოტანა. აღნიშნული

DRAFT

უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებამ ნათლად დაინახოს რა ტიპის ინფორმაცია არის შეუსაბამო და ცხრილში შეიტანოს ცვლილებები.

იმ შემთხვევაში თუ მექანიზმის გამოყენებისას არცერთი გამაფრთხილებელი შეტყობინება აღარ გამოჩნდება, ეს ნიშნავს, რომ შესაბამის გრაფაში სწორად დაანგარიშდა ბავშვთა ზღვრული რაოდენობა ინფრასტრუქტურული მოწყობის ლიმიტებისა და საჭირო რესურსების მინიმალური რაოდენობების გათვალისწინებით.

ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმის მეორე მოდელი ეფუძნება დაწესებულებაში არსებულ რესურსებს და განკუთვნილია იმ დაწესებულებებისთვის, რომლებსაც უკვე აქვთ ყველა ტიპის საჭირო რესურსის გარკვეული რაოდენობა და სურთ ამ რესურსების გათვალისწინებით დათვალონ რამდენი ბავშვისთვის შეძლებენ მომსახურების მიწოდებას.

ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის დაწესებულება ავსებს შემდეგი რესურსების გრაფებს:

1) ეზოს/გარე სივრცის კვადრატულობა;
2) აღმზრდელების/აღმზრდელ-პედაგოგების რაოდენობა;
3) ხელსაბანების რაოდენობა;
4) უნიტაზების რაოდენობა;
5) მაგიდებთან ადგილების რაოდენობა;
6) სკამების რაოდენობა;
7) საწოლების რაოდენობა;
8) გასახდელ სივრცეში საკიდების რაოდენობა;

შევსებული მონაცემების საფუძველზე მექანიზმი ავტომატურ რეჟიმში თითოეული კომპონენტის მიხედვით ითვლის ბავშვთა შესაძლო ზღვრულ მაქსიმალურ რაოდენობას. შეტყობინების ველში თითოეული კომპონენტის მიხედვით აისახება რეკომენდაცია, მითითებული რესურსის გათვალისწინებით ბავშვთა დასაშვები მაქსიმალური რაოდენობის შესახებ. ცხრილის შევსების შემდეგ ნაბიჯზე, შეტყობინებებში მოცემული რეკომენდებული რაოდენობების გათვალისწინებით უნდა შეივსოს ორი ტიპის მონაცემი:

1) არსებული ჯგუფური ოთახების რაოდენობა თითოეულ სართულზე;
2) ჯგუფში ბავშვების მოთხოვნილი რაოდენობა.

იმ შემთხვევაში თუ ჯგუფებისა და ბავშვების რაოდენობა არ იქნება ცხრილის პირველ ნაწილში მითითებული რესურსების შესაბამისი, სისტემა ავტომატურად ხსნის შეტყობინებას და უთითებს რომელ ნაწილში არის უზუსტობა. შეტყობინების შინაარსის საფუძველზე დაწესებულება ნათლად ხედავს რომელი კომპონენტის შესაბამისი რესურსი არის არასაკმარისი მითითებული ჯგუფებისა და ბავშვების რაოდენობის შესაბამისად და რომელ ასაკობრივ ჯგუფში ან რესურსში უნდა შევიდეს ცვლილება (მოაკლდეს ან დაემატოს), რათა საბოლოოდ მითითებული რესურსების განსაზღვრული რაოდენობები საკანონმდებლო მოთხოვნებთან იყოს თანხვედრაში.

პირველი და მეორე მოდელის შემთხვევაში თუ მექანიზმის გამოყენებისას არცერთი გამაფრთხილებელი შეტყობინება აღარ გამოჩნდება, ე. ი. შესაბამის გრაფაში სწორად დაანგარიშდება ბავშვთა ზღვრული რაოდენობა ინფრასტრუქტურული მოწყობის ლიმიტების გათვალისწინებით და საჭირო რესურსების მინიმალური რაოდენობებით.

ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმი (მოდელი 1 - მექანიზმი 1)

აღრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმი (მოდელი1 - მექანიზმი 1)															
ბავშვთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა 0															
დასაშვები განლაგება			ინფრასტრუქტურული მოწყობის პარამეტრები			ბავშვების მოთხოვნილი რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	სავალდებულოა შემდეგი რესურსების უზრუნველყოფა							ეზოს/გარე სივრცის ათვისების პარამეტრები	
სართული	ასაკობრივი ჯგუფის განთავსების შესაძლებლობა შენობაში	თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის ბავშვების დასაშვები მაქსიმუმი რაოდენობა	რამდენი ოთახი მაქვს ჯგუფური სივრცისთვის	რამდენი ჯგუფის გახსნას ვგეგმავ	ეზოს/გარე სივრცის ჯამური მოცულობა (კვ. მეტრი)		აღმზრდელ-პედაგოგის / აღმზრდელის მინიმალური რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით	ხელსაბანის მინიმალური რაოდენობა დაწესებულებაში	უნიტაზების მინიმალური რაოდენობა დაწესებულებაში	საბავშვო სკამების მუნიმალური რაოდენობა დაწესებულებაში	მაგიდასთან ადგილების მინიმალური რაოდენობა დაწესებულებაში	საწოლების მინიმალური რაოდენობა 0-3 წლამდე ჯგუფებისთვის	გასახდელ სივრცეში საკიდების მინიმალური რაოდენობა	ერთდროულად ეზოში ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა	ეზოში ბავშვების ნაკადების რაოდენობა
I სართული	2 წლამდე	25					3 წლამდე ჯგუფებში არანაკლებ 0	0	0	0	0	0	0	0	#DIV/0!
	2-დან 3 წლამდე	25													
	3-დან 5 წლამდე	30													
	5-დან	30													
II სართული	2-დან 3 წლამდე	25					3 წლიდან ზევით ჯგუფებში არანაკლებ 0								
	3-დან 5 წლამდე	30													
	5-დან	30													
III სართული	5-დან	30													
														#DIV/0!	

DRAFT

ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმი (მოდელი 2 - მექანიზმი 1)

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმი (მოდელი 2 - მექანიზმი 1)			
აუცილებელი კომპონენტები	**რეკომენდებული რაოდენობა მითითებული რესურსის გათვალისწინებით**	**არსებული რესურსის რაოდენობა**	**შეტყობინება მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში**
ეზოს/გარე სივრცის საერთო ფართი	ეზოს/გარე სივრცის მითითებული კვადრატულობის მიხედვით, 6 ნაკადად გამოყენების შემთხვევაში ბავშვების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა არის 0		
აღმზრდელების / აღმზრდელ პედაგოგების რაოდენობა 0-3 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის	0-3 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში მითითებული აღმზრდელების / აღმზრდელ-პედაგოგების რაოდენობის მიხედვით ბავშვების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა არის" 0		
აღმზრდელების / აღმზრდელ პედაგოგების რაოდენობა 3-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის	3-6 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში მითითებული აღმზრდელების / აღმზრდელ-პედაგოგების რაოდენობის მიხედვით ბავშვების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა არის" 0		
საბავშვო ხელსაბანების რაოდენობა	დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ სანიტარულ კვანძებში საბავშვო ზომის უნიტაზების რაოდენობის მიხედვით ბავშვების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა არის" 0		
საბავშვო უნიტაზების/ღამის ქოთნების ჯამური რაოდენობა	დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ სანიტარულ კვანძებში საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობის მიხედვით ბავშვების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა არის" 0		
საბავშვო სკამების რაოდენობა	მითითებული საბავშვო ზომის სკამების რაოდენობის მიხედვით ბავშვების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა არის" 0		
საბავშვო მაგიდებთან ადგილების რაოდენობა	საბავშვო ზომის მაგიდებთან ადგილების მითითებული რაოდენობის მიხედვით ბავშვების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა არის" 0		
გასახდელ სივრცეში საკიდების რაოდენობა	დაწესებულებაში არსებულ გასახდელ სივრცეში საკიდების მითითებული რაოდენობის მიხედვით ბავშვების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა არის" 0		
საძინებელში / მოსასვენებელ სივრცეში 0-3 წლამდე ბავშვებისთვის საწოლების რაოდენობა	მითითებული საწოლების რაოდენობის მიხედვით 0-3 წლამდე ბავშვების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა არის" 0		

სართული	**ასაკობრივი ჯგუფის განთავსების შესაძლებლობა შენობაში**	**რამდენი ოთახია განკუთვნილი ჯგუფური ოთახების მოსაწყობად თითოეულ სართულზე**	**ბავშვების მოთხოვნილი რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით**	**შეტყობინება მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში**
I სართული	0-1 წლამდე			
	1-2 წლამდე			
	2-3 წლამდე			
	3-4 წლამდე			
	4-5 წლამდე			
	5-6 წლამდე			
II სართული	2-3 წლამდე			
	3-4 წლამდე			
	4-5 წლამდე			
	5-6 წლამდე			
III სართული	5-6 წლამდე			
ბავშვთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა			**0**	